



## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 146

2018წ. "07" "09"

ქ. თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისისთვის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კულინარიის ხელოვნების“ მესამე საფეხურის და „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი)“ მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

### საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის“ (ს/კ:209467646), სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №31 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ „კულინარიის ხელოვნების“ მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 77-ით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება         | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით                   | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|------------------------------|--------------------------------|------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------|--------------------------------------------------------|---------------|-----------------------------|--------------------------------------------------|
| 1 | კულინარიის ხელოვნება (1) (2) | მესამე                         | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 010465 | 80                                                  | 95                                                     | ქართული       | 77                          | ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა                |

- (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- (2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმის“ (ს/კ:209467646), სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №17 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი)“ მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 40-ით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება                                     | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით                                                  | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|----------------------------------------------------------|--------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------|--------------------------------------------------------|---------------|-----------------------------|--------------------------------------------------|
| 1 | სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) (1) | მეოთხე                         | სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164 | 125                                                 | 155                                                    | ქართული       | 40                          | ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა                |

- (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №15 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე  
კარლო კერვალიშვილი

მდივანი  
ანასტასია ქიტიაშვილი

